

„ქანრის კრიზისი“ თანამედროვე ქართულ-ოსურ ურთიერთობებში და გამოსავლის ძიება

დღევანდელი ვითარება

ქართულ-ოსური ურთიერთობების კრიზისი გრძელდება. 2008 წლის რუსეთ-საქართველოს ომიდან ათი წლის თავზე ორმხრივი ურთიერთობები ოფიციალურ დონეზე პრაქტიკულად აღარ არსებობს, ხოლო საერთაშორისო ორგანიზაციების შუამავლობით და მონაწილეობით მხარეების წარმომადგენლები მხოლოდ „ჟენევის დისკუსიების“ ფორმატში და ინციდენტების პრევენციისა და რეაგირების მექანიზმის ფარგლებში ხვდებიან. ხსენებულ ფორმატებში დისკუსიის დრო, ნაცვლად ორმხრივსასარგებლო თანამშრომლობისა და ნდობის აღდგენის საკითხებისა, ძირითადად, ურთიერთბრალდებებს ეთმობა. რაც შეეხება სამოქალაქო საზოგადოების წარმომადგენლებს შორის ურთიერთობას, აქაც არსებითად იკლო ინტენსივობამ. არც ადმინისტრაციული საზღვრისპირა სავაჭრო ურთიერთობები არსებობს, ვინაიდან ოსური მხარის მიერ ფაქტობრივად ჩაკეტილია გადასასვლელები, ხოლო „საზღვრის“ დანარჩენ პერიმეტრზე მავთულხლართებია გავლებული. ასეთ ვითარებაში, აფხაზეთისგან განსხვავებით, არალეგალური ვაჭრობაც კი არ წარმოებს. პარალელურად, ცხინვალის ადმინისტრაცია რუსული ოკუპაციის პირობებში საქართველოსადმი მტრულ პროპაგანდას აწარმოებს, რაც ოსურ საზოგადოებაში თავის კვალს ტოვებს. მიუხედავად იმისა, რომ დრო, როგორც წესი, ომის იარებს აშუშებს და ნდობის აღდგენასაც უწყობს ხელს, შექმნილ ვითარებაში პირიქით ხდება - ქართულ და ოსურ საზოგადოებებში ნიჰილიზმი და, ხშირად, მეორე მხარის მიმართ აგრესიაც კი შეინიშნება. ეს უკანასკნელი განსაკუთრებით ოსურ საზოგადოებას ახასიათებს. შედეგად, ამგვარი პოლიტიკური და ფიზიკური ბარიერების გამო ქართულ და ოსურ მხარეებს შორის სულ უფრო ღრმავდება გაუცხოება, რაც ორმხრივი ურთიერთობებისთვის გრძელვადიანი პერსპექტივის გათვალისწინებით ყველაზე სახიფათო და ზიანის მომტანი პროცესია.

კონტექსტი

სამხრეთ ოსეთის ირგვლივ კონფრონტაციის კონტექსტი უაღრესად არასახარბიელოა. კონფლიქტის მხარეების პოზიციები რადიკალურად განსხვავებულია, ხოლო საქართველოს მიმართ „მტრის ხატი“ ღრმად არის გამჯდარი ოსური საზოგადოების ცნობიერებაში. მთავარი მიზეზი ქართული და ოსური საზოგადოებების ნაციონალური პროექტების შეუთავსებლობაა და, რა თქმა უნდა, დაპირისპირების ის ძალადობრივი ფორმები, რასაც 2008 წლის კონფლიქტის გარდა წინა წლებშიც რამდენიმეჯერმე ჰქონდა ადგილი.

რუსეთის ფაქტორი. მიუხედავად იმისა, რომ 2008 წლის ომიდან ათი წელი გავიდა, კონფლიქტის მხარეების პოლიტიკური დაახლოების კუთხით მნიშვნელოვანი არაფერი მომხდარა. პირიქით, კონფლიქტის სტრუქტურა კიდევ უფრო გათულდა და რუსეთ-საქართველოს შორის კონფრონტაციის დამატებითი განზომილება შეიძინა. ოკუპაციის

¹ ავტორი არის ლევან მიქელაძის სახელობის ფონდის დირექტორი.

პირობებში რუსეთი სულ უფრო აძლიერებს გავლენას სამხრეთ ოსეთზე, რაც პრაქტიკულად შეუძლებელს ხდის ნდობის აღდგენისკენ მიმართული ინიციატივების რეალიზაციას, რომ აღარაფერი ვთქვათ რაიმე ხელშესახებ სამშვიდობო გეგმაზე.

ოსური ირედენტიზმი. სამხრეთ და ჩრდილოეთ ოსეთს შორის მზარდი სოციალურ-ეკონომიკური კონტრასტი სულ უფრო აძლიერებს ირედენტიზმს. სამხრეთ ოსეთში გაპარტახებული სამრეწველო, სასოფლო-სამეურნეო და რეკრეაციული ინფრასტრუქტურის ფონზე სულ უფრო იზრდება რუსეთზე ფინანსური და სხვა სახის დამოკიდებულების ხარისხი, ხოლო თვითკმარი ეკონომიკის მშენებლობის პერსპექტივის უკვე აღარავის სჯერა. მცირდება ადგილობრივი ინსტიტუტების გაძლიერების, მმართველობის გაუმჯობესებისა და მოსახლეობის კეთილდღეობაზე დამოუკიდებლად ზრუნვის მოტივაცია. შესაბამისად, იზრდება ჩრდილოეთ ოსეთთან გაერთინებისკენ როგორც პანაცეასკენ ლტოლვა, რის გამოც ქართულ მხარესთან რაიმე საერთო ინტერესის გამონახვის სურვილი სამხრეთ ოსურ მმართველ ელიტაში პრაქტიკულად არ შეინიშნება. დღევანდელი ხელმძღვანელობა ელოდება რუსეთისგან სიგნალს, რათა ჯერ ე.წ. რეფერენდუმის, ხოლო შემდგომ შესაბამისი პოლიტიკური პროცესით დაიწყოს სამხრეთ ოსეთის რუსეთის იურისდიქციის ქვეშ მოქცევა.

სამხრეთოსური სამოქალაქო სექტორი. ფაქტობრივად განადგურებულია სამოქალაქო სექტორი. ქართულ-ოსურ ურთიერთობებზე მომუშავე არასამთავრობო ორგანიზაციები ადგილობრივი ხელისუფლების მხრიდან მუდმივ ზეწოლას განიცდიან და თითქმის ყველამ უკვე შეწყვიტა კიდევ არსებობა. აქა-იქ დარჩა ცალკეული აქტივისტები, რომლებიც რისკის ფასად ინარჩუნებენ მზადყოფნას ხელისუფლებისგან ფარულად მიიღონ მონაწილეობა ქართულ-ოსურ დიალოგში. იგივე შეიძლება ითქვას სხვა არასამთავრობო ორგანიზაციებზე, რომელთაც გააჩნიათ კრიტიკული აზრი ადამიანის უფლებების, დემოკრატიის, ეკონომიკისა თუ რუსეთთან ურთიერთობის საკითხებზე.

ქართული სამოქალაქო სექტორი. ქართულ მხარეს ქართულ-ოსურ დიალოგში მონაწილე ორგანიზაციათა და ექსპერტთა შორის შეინიშნება ერთგვარი „დაღლა“, რაც უკავშირდება ხსენებულ დიალოგში ხელშესახები შედეგების მიღწევის უიმედობას. ეს უიმედობა, ძირითადად, განპირობებულია ზოგადი პოლიტიკური კონტექსტის სირთულით, მეორე მხრივ კი დიალოგის ფორმატების ფინანსური მხარდაჭერის მკვეთრი კლებით. განსაკუთრებით ეს კვლევითი პროექტების დაფინანსებას ეხება, რაც არსებული ჩიხური მდგომარეობიდან გამოსვლის გზების მოძიებისთვის აუცილებელია. სამწუხაროდ, სახელმწიფო თუ ადგილობრივი ბიზნესწრეები ამ მიზნით ფინანსურ სახსრებს არ მიმართავენ და ეს სფერო მთლიანად უცხოურ დონორ ორგანიზაციებზეა დამოკიდებული.

სამხრეთ ოსეთის თვითიზოლაცია. ვითარებას ართულებს ისიც, რომ სამხრეთ ოსეთის დე-ფაქტო ადმინისტრაცია, რა თქმა უნდა, რუსეთის მთავრობის კარნახით, არათუ ქართული მხარისთვის, საერთაშორისო ორგანიზაციებისთვისაც ზღუდავს საქმიანობას საკუთარ ტერიტორიაზე. ერთადერთი საერთაშორისო ორგანიზაცია, რომელიც აგრძელებს მუშაობას, არის „წითელი ჯვარი“. ამგვარი თვითიზოლაციის პირობებში შეუძლებელი ხდება ობიექტური ინფორმაციის მიღება რეგიონში არსებული ვითარების შესახებ, რომ არაფერი ვთქვათ კვლევითი სამუშაოსა თუ სხვა თემატური საქმიანობის წარმოებაზე.

საქართველოს მთავრობის პოლიტიკა. 2008 წლის მოვლენების შემდგომ ქართული მხარის კონფლიქტისადმი მიდგომა გარკვეულწილად შეიცვალა. უკუგდებულ იქნა ოსურ მხარეზე ძალისმიერი ზეწოლის ფორმები, ხოლო 2013 წლიდან ოფიციალური თბილისის პოლიტიკის მთავარ მიზნად შერიგება გამოცხადდა. თუმცა, ნარჩუნდება პოლიტიკური, ეკონომიკური და დიპლომატიური იზოლაციის ელემენტები, როგორცაა არაღიარების პოლიტიკა, მესამე მხარეთათვის კონფლიქტის ზონაში ეკონომიკური და საინვესტიციო საქმიანობის აკრძალვა და სამხრეთ ოსეთის ტერიტორიაზე მცხოვრები რუსეთის პასპორტის მფლობელთათვის საერთაშორისო მგზავრობის შეზღუდვა. შესაბამისად, საქართველოს მთავრობის პოლიტიკა კვლავ ინარჩუნებს წინააღმდეგობრივ ხასიათს, რასაც მეორე მხარე აქტიურად იყენებს საკუთარი პოლიტიკური თუ პროპაგანდისტული მიზნებისთვის. ეს ერთერთი მიზეზია იმისა, რომ საქართველოს მთავრობის ინიციატივებს ისევე, როგორც ქართულ და ოსურ სამოქალაქო საზოგადოებებს შორის დიალოგს სასურველი შედეგი არ მოაქვს.

დონორები. ბოლო წლებში შეინიშნება ერთგვარი იმედგაცრუება დონორი ორგანიზაციების მხრიდან, რაც საქართველოში არსებული კონფლიქტების მოგვარების, კერძოდ კი ქართულ-ოსური დიალოგის ხელშემწყობი პროექტებისადმი ისედაც არასაკმარისი ინტერესის შემდგომ კლებას განაპირობებს. თავის დროზე, როდესაც მაღალი იყო ქართულ-ოსური კონფლიქტის მოწესრიგების მოლოდინი, მაშინაც კი არ იყო საკმარისი რესურსები ამგვარი საქმიანობისთვის. ეხლა მით უმეტეს. ხსენებული გარემოება, თავის მხრივ, მნიშვნელოვნად ამცირებს ამ სფეროში მოღვაწეობის მოსურნე აქტივისტებისა და ექსპერტთა ჩართულობას.

საერთაშორისო ორგანიზაციები/მთავრობები. საქართველოს კონფლიქტები, მათ შორის ქართულ-ოსური კონფლიქტი, თავისი ქართულ-რუსული განზომილებით შეუძლებელია საერთაშორისო საზოგადოების აქტიური ჩართულობის გარეშე მოგვარდეს. სამწუხაროდ, საერთაშორისო თანამეგობრობის ჩართულობა კონფლიქტების მოგვარების პოლიტიკური ფორმულის ძიებაში ისეთივე შედეგიანი არ არის, როგორც კრიზისის მართვის (მაგ. 2008 წლის ომის დროს ცეცხლის შეწყვეტა) ან პოსტ-კონფლიქტური რეაბილიტაციისა და რეკონსტრუქციის (მაგ. ომისშემდგომი საქართველოსთვის 4.5 მლრდ-იანი დახმარების გამოყოფა) დროს. ერთი მიზეზი, რის გამოც კონფლიქტის პოლიტიკური მოგვარების ფაზაში საერთაშორისო საზოგადოების ეფექტიანობა დაბალია, არის ის, რომ არ არსებობს ერთიანი და კოორდინირებული ხედვა და მასზე დაფუძნებული სტრატეგია. ევროკავშირის ცნობილი ფორმულა „ჩართულობა აღიარების გარეშე“ სანახევროდ ხორციელდება იმიტომ, რომ არ არის გააზრებული, როგორი უნდა იყოს ჩართულობა კონფლიქტის კონტექსტის სირთულისა და თავისებური მახასიათებლების გათვალისწინებით. მეორე მიზეზი მდგომარეობს პოლიტიკური ნების სისუსტეში: მიუხედავად იმისა, რომ დასავლეთი და მისი ინსტიტუტები მტკიცედ უჭერენ მხარს საქართველოს ტერიტორიულ მთლიანობას, რუსეთთან მაღალი დონის ორმხრივ დიალოგში ეს საკითხი არ არის პრიორიტეტული.

გამოსავალი

მთელი რიგი ისტორიული, ეთნოკულტურული თუ გეოგრაფიული ფაქტორების გამო ქართველებსა და ოსებს შორის ნდობის აღდგენისა და შერიგების რესურსი მეტია, ვიდრე ქართველებსა და აფხაზებს შორის. თუმცა, მიმდინარე გაუცხოების პროცესის კვალდაკვალ ესეც

შეიძლება დაიკარგოს. ამიტომ სასწრაფოდ უნდა შეიქმნას ორმხრივი დიალოგის აღდგენის პირობები, თუნდაც ჯერ მხოლოდ სამოქალაქო საზოგადოების წარმომადგენლების მონაწილეობით. ამისათვის აუცილებელია განხორციელდეს შემდეგი:

ადგილობრივ პოლიტიკურ დონეზე. ზემოხსენებული ფაქტორების გათვალისწინებით თვალსაწიერ მომავალში ქართულ-ოსური კონფლიქტის ყოვლისმომცველი დარეგულირების ილუზია არ უნდა ვიქონიოთ. დღეს კონფლიქტის მხარეთა ერთმანეთთან დამოკიდებულება საკუთარი „წითელი ხაზების“ დაცვის პარადიგმის ფარგლებში ხდება, რაც ამ ურთიერთობებს სულ უფრო ამძიმებს. ამის გამოა, რომ დიალოგის არსებულ ერთადერთ ფორმატს - „ჟენევის დისკუსიებს“ - ორმხრივსასარგებლო შედეგი ვერა და ვერ მოაქვს. ვერც საქართველოს მთავრობის მიერ შემუშავებული ინიციატივა „ნაბიჯი უკეთესი მომავლისკენ“ მოახერხებს სრულფასოვნად ამოქმედებას. ასევე შეუძლებელი იქნება ე.წ. სახალხო დიპლომატიის კუთხით სხვა ნებისმიერი ურთიერთობების განვითარება. ამის ნაცვლად, მხარეთა შეთანხმებით მიზნად დასახულ უნდა იქნეს კონფლიქტის იმგვარი ტრანსფორმაცია, როდესაც მყარი მშვიდობისა და ადამიანური უსაფრთხოების პირობებში ქართველებსა და ოსებს კვლავ გაუჩნდებათ ერთად თანაცხოვრებისა და საერთო კეთილდღეობაზე ზრუნვის სურვილი. მიუხედავად იმისა, რომ 2004 წლის ზაფხულამდე, როდესაც ადგილი ჰქონდა ძალისმიერი გზით კონფლიქტის მოგვარების მცდარ მცდელობასა და „ერგნეთის ბაზრობის“ გაუქმებას, ქართველები და ოსები ერთხელ უკვე პრაქტიკულად შერიგებულები იყვნენ (კვლავ იქმნებოდა შერეული ოჯახები, ქართველები და ოსები თანაცხოვრობდნენ შერეულ დასახლებულ პუნქტებში, აწარმოებდნენ ერთობლივ ბიზნესს და სხვ.), დღეს ამის თავიდან მიღწევა ურთულესი ამოცანაა, თუმცა ჯერ კიდევ შესაძლებელია.

საერთაშორისო პოლიტიკურ დონეზე. გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს პროცესში ჩართული საერთაშორისო აქტორების მხრიდან ხსენებული პარადიგმის ცვლილების აქტიურ მხარდაჭერას. ეს მხარდაჭერა უნდა იყოს სათანადოდ მოტივირებული და, რაც მთავარია, მაღალ პოლიტიკურ დონეზე გამოხატული. სასურველია, თუკი საქართველოს კონფლიქტებისადმი, მათ შორის ქართულ-ოსური კონფლიქტის, მიმართ დამოკიდებულების ცვლილების, ახალი პარადიგმის მხარდაჭერის ინიციატივა საერთაშორისო ინსტიტუტების ეგიდით შემუშავდება და იქნება წარმოდგენილი. მხოლოდ ამ შემთხვევაში შემოიტანდა ამგვარი ინიციატივა სასურველ დინამიზმს იმ „მოწამლულ“ და ურთიერთმტრობით გაჟღენთილ კონტექსტში, რაზეც ზემოთ იყო საუბარი. ამ თვალსაზრისით, ევროკავშირის გააქტიურება, მისი მხრიდან რუსეთთან სათანადო პრინციპულობით წარმართული დიალოგის ჩათვლით, უაღრესად მნიშვნელოვანია. ასევე არსებითი მნიშვნელობა ექნება ევროკავშირის ცნობილი ფორმულის - „ჩართულობა აღიარების გარეშე“ რეალური შინაარსით დატვირთვას „ჩართულობის“ ნაწილში. აქვე, უნდა აღინიშნოს გაერო-ს, ეუთო-ს, და სხვა ორგანიზაციების, აგრეთვე ცალკეული დასავლური სახელმწიფოების მხრიდან მხარდაჭერის მნიშვნელობაც. ერთიან ხედვაზე დაფუძნებული საერთო ძალისხმევით მათ არსებითი წვლილის შეტანა შეუძლიათ საქართველოს კონფლიქტების, მათ შორის ქართულ-ოსური კონფლიქტის ტრანსფორმირების საქმეში.

აკადემიურ დონეზე. ორივე მხარის აკადემიური ექსპერტების მონაწილეობით შესწავლილ უნდა იქნეს ქართულ-ოსური ურთიერთობების ტრანსფორმაციის მიზანშეწონილობა, შესაძლებლობა, პირობები, პარამეტრები. უნდა განისაზღვროს კონფლიქტის ფასი როგორც

ქართული, ისე ოსური მხარისთვის და უნდა ჩამოყალიბდეს ხედვა იმ უკეთესი მდგომარეობისა, რომელიც ორივე მხარესთვის მისაღები შეიძლება აღმოჩნდეს. კვლევის შედეგად უნდა დაზუსტდეს რომელია რეალური „წითელი ხაზები“ და რომელი - „ვარდისფერი“ ან უფრო მეტად „ფერმკრთალი“. ამგვარი ანალიზი აუცილებლად გამოაჩენს კომპრომისულ სივრცეს, სადაც ტრანსფორმირებული კონფლიქტის პირობებში ქართველები და ოსები შეძლებენ მშვიდობიან თანაცხოვრებას. ამ სივრცეში ერთიორად გაიზრდება „ჟენევის დისკუსიებისა“ თუ საქართველოს მთავრობის ინიციატივების ეფექტიანობა. კვლევის დროს შესაძლოა შესწავლილ იქნეს სხვა ტრანსფორმირებული კონფლიქტების (კვიპროსი, დნესტრისპირეთი, ჩრდილო ირლანდია და სხვ.) გამოცდილება.

სამოქალაქო სექტორის დონეზე. პირველ რიგში, სამხრეთ ოსეთში უნდა აღდგეს სამოქალაქო სექტორი, რომელიც განახორციელებს კონფლიქტის ტრანსფორმაციის ხსენებული ხედვის ადვოკატირებას ოსურ საზოგადოებაში. პარალელურად, ქართულმა არასამთავრობო ორგანიზაციებმა ასევე უნდა იზრუნონ საზოგადოებაში, პირველ რიგში მის ელიტაში, ქართულ-ოსური კონფლიქტისადმი ახლებური დამოკიდებულების ჩამოყალიბებისთვის. ქართული მხარის შემთხვევაში ეს უნდა იყოს ისეთივე კონსენსუსი, როგორც ქვეყნის ევროპულ და ევრო-ატლანტიკურ ინტეგრაციასთან დაკავშირებით არსებობს. ორივე საზოგადოებაში შიდაელიტური კონსენსუსი კონფლიქტის წარმატებით ტრანსფორმირების აუცილებელი წინაპირობაა.

დონორი ორგანიზაციების დონეზე. მნიშვნელოვნად უნდა გაიზარდოს ფინანსური რესურსები კონფლიქტის ტრანსფორმაციაზე მიმართული ინიციატივებისა და პროექტების მხარდაჭერისთვის. ამ მიზნით, საქართველოს მთავრობამ აქტიურად უნდა იმუშაოს როგორც უშუალოდ დონორებთან, ისე იმ სახელმწიფოების მთავრობებთან, საიდანაც ეს დონორი ორგანიზაციები იღებენ ფონდებს. ამით იგი არსებითად შეეწევა სამოქალაქო სექტორს, რომელიც, ხშირ შემთხვევაში, ვერ ახერხებს დონორების საკუთარი არგუმენტებით დარწმუნებას. გაზრდილი ფინანსური ბაზა საგრძნობლად „გამოაცოცხლებს“ კონფლიქტის ტრანსფორმაციის მიმართულებით მომუშავე ქართულ სამოქალაქო სექტორს, ხოლო ოსურ მხარეზე ხელს შეუწყობს სექტორის აღორძინებას. ფაქტობრივად, ეს მხარდაჭერა უნდა იქცეს დონორი ორგანიზაციების მთავარ პრიორიტეტად.

ბოლოთქმა

შექმნილი ვითარებიდან გამოსავლის შემოთავაზებული გზა არ არის უალტერნატივო. მთავარია ამ მიმართულებით დაიწყოს ფიქრი და განსჯა როგორც ქართულ და ოსურ საზოგადოებებში, ისე საერთაშორისო თანამეგობრობაში. საკითხისადმი სისტემური მიდგომით და მრავალმხრივი ჩართულობით შემოთავაზებული გამოსავლის ხედვა დაიხვეწება, ან სულად მისი ახალი ვერსია გაჩნდება. თუ ეს პროცესი დაიწყოს, მაშინ მოცემული დოკუმენტის მიზანი შესრულებულად უნდა მივიჩნიოთ. წინააღმდეგ შემთხვევაში, გავაგრძელებთ ჩაკეტილ წრეში ტრიალს, ხოლო ქართველებისა და ოსების გაუცხოება შეუქცევადი გახდება და შერიგების ურთულესი ამოცანაც განუხორციელებელი დარჩება. მცდარია პოლიტიკის აწყობა იმის მოლოდინზე, რომ რუსეთი დასუსტდება და მისი დესტრუქციული ფაქტორი როგორც საქართველოს კონფლიქტების დარეგულირების ბარიერი გაქრება. დრო მიდის და ეს ქართულ-ოსური ურთიერთობების აღდგენის პერსპექტივის სასარგებლოდ არ ხდება.